საქართველოს კანონი

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურას;“;

ბ) „თ“ და „თ^{1}“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „პ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 5^{1} მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{4}“ ქვეპუნქტი:

„დ^{4}) საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, შესაბამისი დადგენილებით არეგულირებს საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის, მხარდაჭერის საკითხებს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

6 ივნისი 2018 წ.

N2482-რს